№	მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა (ადმინისტრაციული ერთეული)	მიწის ნაკვეთის სარეგისტრაციო ნომერი (რუქის შესაბამისად)	სავარგულის ტიპი	ფართობი ჰა-ში	ხარისხობრივი მაჩვენებლები (კარგი/მწირი)	მიწის ნაკვეთის საწყისი გასაყიდი ფასი ლარებში	მიწის ნაკვეთზე არსებული უძრავი ქონების დასახელება	მიწის ნაკვეთზე არსებული უძრავი ქონების ღირებულება ლარებში	საპრივატიზებო მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი სულ ლარებში	„ბე“ მიწის ნაკვეთის საწყისი გასაყიდი ფასის 30%
1	ხობის მუნიციპალიტეტი სოფ. შუა ხორგა	025	სასოფლო-სამეურნეო	3,28	კარგი	216,48	ეკალიპტი	21,65	238,13	71,44
2	ხობის მუნიციპალიტეტი სოფ. შუა ხორგა	026	სასოფლო-სამეურნეო	8,45	კარგი	557,7	ეკალიპტი	55,77	613,47	184,04
3	ხობის მუნიციპალიტეტი სოფ. შუა ხორგა	027	სასოფლო-სამეურნეო	3,19	კარგი	210,54	ეკალიპტი	21,05	231,59	69,48
4	ხობის მუნიციპალიტეტი სოფ. შუა ხორგა	028	სასოფლო-სამეურნეო	2,96	კარგი	195,36	ეკალიპტი	19,54	214,90	64,47
5	ხობის მუნიციპალიტეტი სოფ. შუა ხორგა	029	სასოფლო-სამეურნეო	5,71	კარგი	376,86	ეკალიპტი	37,69	414,55	124,36
6	ხობის მუნიციპალიტეტი სოფ. შუა ხორგა	030	სასოფლო-სამეურნეო	3,87	კარგი	255,42	ეკალიპტი	25,54	280,96	84,29
7	ხობის მუნიციპალიტეტი სოფ. შუა ხორგა	031	სასოფლო-სამეურნეო	6,17	კარგი	407,22	ეკალიპტი	40,72	447,94	134,38
8	ხობის რა-ნი სოფ. ახალი ხიბულა	033	სასოფლო-სამეურნეო	3,83	კარგი	252,78	ეკალიპტი	25,28	278,06	83,42
9	ხობის მუნიციპალიტეტი სოფ. შუა ხორგა	034	სასოფლო-სამეურნეო	10,36	კარგი	683,76	ეკალიპტი	68,38	752,14	225,64
10	ხობის მუნიციპალიტეტი სოფ. შუა ხორგა	035	სასოფლო-სამეურნეო	8,44	კარგი	557,04	ეკალიპტი	55,70	612,74	183,82

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოსონელიძე/



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო  
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 45

ქ. ხობი

2007 წლის 17 მაისი

სოფელ ჭალადიდის ტერიტორიაზე მოქცეული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საპრივატიზებო გეგმის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. მოწონებულ იქნას ჭალადიდის ტერიტორიაზე მოქცეული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საპრივატიზებო გეგმის პროექტი თანახმად №1 დანართისა.

2. საპრივატიზებო გეგმის პროექტი დასამტკიცებლად და სპეციალური აუქციონის ჩატარების უზრუნველსაყოფად წარედგინოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამეგრელო-გურია-სვანეთის სამხარეო სამმართველოს.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოხონელიძე/

სოფელ ჭალადიდის ტერიტორიაზე მოქცეული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ნუსხა

№	მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა (ადმინისტრაციული ერთეული)	მიწის ნაკვეთის სარეგისტრაციო ნომერი (რუქის შესაბამისად)	საგარეულოს ტიპი	ფართობი ჰა-ში	ხარისხობრივი მაჩვენებლები (კარგი/მწირი)	მიწის ნაკვეთის საწყისი გასაყიდი ფასი ლარებში	მიწის ნაკვეთზე არსებული უძრავი ქონების დასახელება	მიწის ნაკვეთზე არსებული უძრავი ქონების ღირებულება ლარებში	საპრივატიზებო მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი სულ ლარებში	„ბე“ მიწის ნაკვეთის საწყისი გასაყიდი ფასის 30%
1	ხობის მუნიციპალიტეტი სოფ. ჭალადიდი	018	სასოფლო-სამეურნეო	8,47	კარგი	559,02	-	0	559,02	167,71
2	ხობის მუნიციპალიტეტი სოფ. ჭალადიდი	019	სასოფლო-სამეურნეო	19,95	კარგი	1316,7	-	0	1316,70	395,01
3	ხობის მუნიციპალიტეტი სოფ. ჭალადიდი	020	სასოფლო-სამეურნეო	11,93	კარგი	787,38	-	0	787,38	236,21
3	ხობის მუნიციპალიტეტი სოფ. ჭალადიდი	021	სასოფლო-სამეურნეო	19,04	კარგი	1256,64	-	0	1256,64	376,99

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოხონელიძე/



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
აღგილობრივი თვითმმართველობის ორგანო  
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 46

ქ. ხობი

2007 წლის 18 ივნისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების შ.პ.ს. „ბლექ სი ინდასტრი“-სთვის საკუთრების უფლებით პირდაპირი განკარგვის წესით გამოყოფაზე თანხმობის შესახებ

„აღგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მართვისა და განკარგვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მართვისა და განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2000 წლის 10 მაისის №65 ბრძანების თანახმად:

1. მოწონებულ იქნეს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის კომისიის გადაწყვეტილება „შ.პ.ს. „ბლექ სი ინდასტრი“-ს მოთხოვნის თანახმად პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემის მიზნით არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გამოყოფის შესახებ“ შემდეგ მიწის ნაკვეთებზე: სოფელ თორსა-დღვაბის ტერიტორიიდან მდინარე ხობისწყლის შესართავთან მარჯვენა მხარეს 80.22 ჰა და 42.09 ჰა; სოფელ ყულევის ტერიტორიიდან მდინარე ხობისწყლის მარცხენა მხარეს 15 ჰა (მათ შორის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანხმობის შემთხვევაში, 11.5 ჰა მის გამგებლობაში არსებული სპეციალური დანიშნულების მიწებიდან ალტერნატიული რკინიგზის მშენებლობისათვის)

2. „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მართვისა და განკარგვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, მიღებული გადაწყვეტილება წარედგინოს საქართველოს პრეზიდენტს.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოხონელიძე/



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
აღგილობრივი თვითმმართველობის ორბანო  
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

---

განკარგულება №47

ქ. ხობი

2007 წლის 10 ივლისი

საკრებულოს წევრის გაიოზ ქირიას  
უფლებამოსილების ცნობის შესახებ

1. „აღგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 126<sup>2</sup> მუხლისა და №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის 2007 წლის 30 მაისის №02/2007 განკარგულების საფუძველზე – ცნობილ იქნეს საკრებულოს წევრის გაიოზ ქირიას უფლებამოსილება.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოხონელიძე/



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ადგილობრივი თვითმმართველობის ორბანო  
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

---

განკარგულება №48

ქ. ხობი

2007 წლის 10 ივლისი

„სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ №12 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 44-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ 2006 წლის 13 ნოემბრის №12 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები და კომისიის შემადგენლობაში შეყვანილ იქნეს საკრებულოს წევრი გაიოზ ქირია.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოსონელიძე/





ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო  
ხოვის მუნიციპალიტეტის საკრებულო

---

განკარგულება №49

ქ. ხობი

2007 წლის 10 ივლისი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ხოვის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 თავის თანახმად:

1. დაფუძნდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „ხოვის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება“.

2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ხოვის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ თანდართული წესდება.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ხოვის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის ვალდებულება დაეკისროს იურიდიული პირის დირექტორს.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოხონელიძე/

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული  
პირის – „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი  
სააღმზრდელო გაერთიანების“

წ ე ს დ ე ბ ა

ხობი  
2007 წელი

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“  
წესდება**

**უხლი 1. ზოგადი დებულებები**

1.1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სრული სახელწოდება – ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება (შემდგომში – „გაერთიანება“).

1.2 გაერთიანება თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ამ წესდების შესაბამისად.

1.3 გაერთიანება თავის საქმიანობას ახორციელებს განუსაზღვრელი ვადით, მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე.

1.4 გაერთიანებას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში, ბეჭედი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

1.5 გაერთიანება უფლებებს იძენს მისი შესაბამის ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან.

1.6 გაერთიანების იურიდიული მისამართია: ქ. ხობი თავისუფლების ქ. №1

**მუხლი 2. გაერთიანების დაფუძნება.**

2.1 გაერთიანების დამფუძნებელია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

2.2 გაერთიანების წესდებას ამტკიცებს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.3 წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე – მამუკა ჭოხონელიძე.

**მუხლი 3. გაერთიანების მიზნები და ამოცანები.**

3.1. გაერთიანების ძირითადი მიზანია სკოლამდელი ასაკის ბავშვების აზროვნების, ემოციური სამყაროს და ჯანსაღი ფსიქოლოგიის ფორმირება, მათი ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდა, მათი შემოქმედებით შესაძლებლობებისა და ინტერესების განვითარების ხელშეწყობა.

3.2. გაერთიანების ფუნქციებია:

- ა) სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნორმალური აღზრდა, მათი ჰარმონიული განვითარება და სკოლისათვის მომზადება;

ბ) სასწავლო, მეთოდური და სწავლების შესაბამისი პროგრამების შემუშავება;

გ) განახორციელოს საგანმანათლებლო ფუნქცია, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით განსაზღვროს სწავლების ფორმები „სკოლამდელთა აღზრდის პროგრამის“ შესაბამისად;

დ) უზრუნველყოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმის ფარგლებში ბავშვთა სრულფასოვანი კვების ორგანიზაცია;

ე) აღზარდოს მომავალი თაობა ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით;

ვ) მოთხოვნებიდან გამომდინარე შექმნას და ჩამოაყალიბოს სკოლამდელი აღზრდის ინტეგრირებული ჯგუფები;

ზ) გახსნას სპეციალური სკოლისათვის მოსამზადებელი ჯგუფები (უცხო ენის, ცეკვის, სიმღერის და ა.შ. შემსწავლელ წრეები);

თ) აღსაზრდელს შეუქმნას ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური სრულყოფის პირობები;

ი) პრაქტიკული და თეორიული დახმარება გაუწიოს მის დაქვემდებარებაში არსებულ სააღმზრდელო დაწესებულებებს, იზრუნოს მათი მუშაობის ხარისხზე;

კ) იზრუნოს პერსონალის პროფესიულ მომზადებასა და გადამზადებაზე;

ლ) აწარმოოს ბავშვთა უფლებების მონიტორინგი;

მ) უზრუნველყოს სემინარებისა და კონფერენციების გამართვა;

ნ) შექმნას საინფორმაციო ბანკი;

ო) ითანამშრომლოს შესაბამისი პროფილის დაწესებულებებთან.

3.3. გაერთიანების მუშაობის რეჟიმი და ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ყოფნის ხანგრძლივობა განისაზღვრება ამ წესდებით და მშობელთა ხელშეწყობით გათვალისწინებულ პირობების შესაბამისად.

3.4. გაერთიანება მუშაობს კვირაში ხუთ დღეს და ბავშვთან ყოფნის ხანგრძლივობა განისაზღვრება 9 საათით.

3.5. გაერთიანებაში ასაკობრივი ჯგუფები კომპლექტდება:

ა) ბავის ჯგუფი 2-3 წლამდე – 12 ბავში;

ბ) ბაღის ჯგუფი 4-6 წლამდე – 16-დან 20 ბავშვამდე.

3.6. გაერთიანება უფლებამოსილია განსაზღვროს მოთხოვნათა შესაბამისად მცირე ასაკობრივი ჯგუფების შექმნა.

3.7. გაერთიანებას უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული.

3.8. გაერთიანება უფლებამოსილია შეიმუშაოს შინაგანაწესი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

#### **მუხლი 4. გაერთიანების სტრუქტურა**

გაერთიანების სტრუქტურული ერთეულები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე:

1. ხობის №1 ბაგა-ბაღი
2. ხობის №2 ბაგა-ბაღი
3. ხობის №3 ბაგა-ბაღი
4. კ/მაისის ბაგა-ბაღი
5. ხეთის №1 ბაგა-ბაღი
6. ხეთის №2 საბავშვო ბაღი
7. ახ. სიბუღის ბაგა-ბაღი
8. ზუბის ბაგა-ბაღი
9. წინაგოლის საბავშვო ბაღი
10. ხამისკურის საბავშვო ბაღი
11. თორსის საბავშვო ბაღი
12. შუა ხორგის საბავშვო ბაღი
13. ყორათის საბავშვო ბაღი
14. ქარიატის საბავშვო ბაღი
15. ჭალადიდის საბავშვო ბაღი
16. საგვიჩიოს საბავშვო ბაღი
17. ქვემო ქვალონის საბავშვო ბაღი
18. ახალსოფლის საბავშვო ბაღი
19. გაღმა ხორგის საბავშვო ბაღი
20. ნოჯიხევის საბავშვო ბაღი
21. ბიის საბავშვო ბაღი
22. საჯიჯაოს საბავშვო ბაღი
23. გაღმა საჯიჯაოს საბავშვო ბაღი
24. ნოჯიხევის საბავშვო ბაღი

#### **მუხლი 5. ხელმძღვანელობა**

5.1. გაერთიანების დირექცია შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილისა და ფინანსური მენეჯერისაგან, რომელთაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ანთავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე.

5.2. გაერთიანების ხელმძღვანელობა და სრული წარმომადგენლობა ენიჭება დირექტორს, რომელიც უძღვება გაერთიანების საქმეებს.

5.3. დირექტორი:

ა) წარმართავს გაერთიანების საერთო საქმიანობას, ახდენს ადმინისტრაციისა და სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის კოორდინაციას;

ბ) ზედამხედველობას ახორციელებს გაერთიანების აღმზრდელობით და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე, პასუხისმგებელია ამ პროცესების ორგანიზაციაზე;

გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით ამტკიცებს გაერთიანების საშტატო განრიგს;

დ) ნიშნავს და ანთავისუფლებს გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს და თანამშრომლებს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით;

ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით დებს გარიგებებს გაერთიანების სახელით;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს, ამტკიცებს გაერთიანების შინაგანაწესს, სამუშაო გეგმებს;

ზ) კანონმდებლობის შესაბამისად განკარგავს გაერთიანების ფინანსურ და მატერიალურ საშუალებებს;

თ) კანონის ფარგლებში იყენებს მუშაკთა მიმართ წამახალისებელ და დისციპლინარულ ზომებს;

ი) გაერთიანების წინაშე მდგარი სხვადასხვა საკითხების გადასაწყვეტად ქმნის დროებით სამუშაო ჯგუფებს, კომისიებს და პერიოდულად ატარებს სხდომებს და თათბირებს.

კ) დამფუძნებელს წარუდგენს ანგარიშს საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ ყოველკვარტალურად;

ლ) ანგარიშვალდებულია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე;

მ) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს გაერთიანებას ყველა ინსტანციაში;

ნ) ახორციელებს გაერთიანების ფუნქციონირებისათვის აუცილებელ, კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობას.

## **მუხლი 6. დაფინანსება**

6.1. გაერთიანების დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

- ა) ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი თანხები;
- ბ) გრანტები და შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავალი;
- გ) დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული მოგება.

6.2. ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი ფინანსური სახსრები გამოიყენება მხოლოდ გაერთიანების წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად.

## **მუხლი 7. გაერთიანების ქონება**

გაერთიანებას დროებით მფლობელობაში შეიძლება გადაეცეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობით მის ბალანსზე რიცხული ნებისმიერი უძრავი ქონება, უფლებამოსილების განხორციელების მიზნით.

## **მუხლი 8. გაერთიანების საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება**

8.1 გაერთიანება ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

## **მუხლი 9. სახელმწიფო კონტროლი**

9.1. გაერთიანება ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერებას და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

9.2. გაერთიანების სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო, რომელსაც უფლება აქვს მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო ინფორმაცია. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს გაერთიანების კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება.

## **მუხლი 10. გაერთიანების წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **მუხლი 11. გაერთიანების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია**

- 11.1 გაერთიანების რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 11.2 გაერთიანების უფლებამოსილება წყდება მისი ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან.
- 11.3 ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება გადადის სახელმწიფო საკუთრებაში.
- 11.4 ინფორმაცია ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს.

## **მუხლი 12. გარდამავალი დებულებანი**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება“ წარმოადგენს ხობის რაიონის საბავშვო ბაგა-ბაღების უფლებამონაცვლეს.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

წარმომადგენლობის უფლებამოსილი პირი

/მ .ჭოხონელიძე/





ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ადგილობრივი თვითმმართველობის ორბანო  
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №50

ქ. ხობი

2007 წლის 31 ივლისი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და „ადგილობრივი მნიშვნელობის საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების განსაზღვრის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 26 ივნისის №126 დადგენილების თანახმად:

1. დაფუძნდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“.

2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ თანდართული წესდება.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის ვალდებულება დაეკისროს იურიდიული პირის დირექტორს.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოხონელიძე/

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ხობის  
მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“  
წესდება**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1.1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სრული სახელწოდებაა – ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი (შემდეგში – „ცენტრი“).

1.2 ცენტრი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „კულტურის შესახებ“, „მუზეუმების შესახებ“, „საბიბლიოთეკო საქმიანობის შესახებ“, „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონების, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ამ წესდების შესაბამისად.

1.3 ცენტრი თავის საქმიანობას ახორციელებს განუსაზღვრელი ვადით, მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე.

1.4 ცენტრს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში, ბეჭედი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

1.5 ცენტრი უფლებებს იძენს მისი შესაბამის ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან.

1.6 ცენტრის იურიდიული მისამართია: ხობი ცოტნე დადიანის ქ. №187

**მუხლი 2. ცენტრის დაფუძნება.**

2.4 ცენტრის დამფუძნებელია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

2.5 ცენტრის წესდებას ამტკიცებს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.6 წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე – მამუკა ჭოხონელიძე.

**მუხლი 3. ცენტრის მიზნები**

3.1. ხელი შეუწეოს მოსახლეობის კულტურული ფონისა და ეროვნული სულისკვეთების ამაღლებას, სხვადასხვა ასაკისა და სოციალური ფენის წარმომადგენელთა კულტურული და შემეცნებითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, თვითშემოქმედების განვითარებას, ხალხური შემოქმედების, ფოლკლორის შენარჩუნება-გამოვლენას და მოქალაქეთა დასვენება-გართობის ორგანიზაციას;

3.2. სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა, შეგროვება, აღრიცხვა, დაცვა, შესწავლა, ექსპონირება და პოპულარიზაცია;

3.3. წიგნადი ფონდის დაკომპლექტება-დამუშავება, საკოორდინაციო-საკონსულტაციო ფუნქციების შესრულება, ბავშვებსა და ახალგაზრდობაზე ორიენტირებული პროგრამების განხორციელება, წიგნადი და სხვა საინფორმაციო რესურსების (პერიოდიკა, არაბეჭდური პროდუქცია) განახლება-შევსება, მთელი მოსახლეობისთვის წიგნის ხელმისაწვდომობისა და მკითხველთა მომსახურების უზრუნველყოფა;

3.4. მუნიციპალიტეტში ფოლკლორული ანსამბლების შექმნა-ჩამოყალიბება. მხატვრული თვითშემოქმედების, კონკურსების, კვირეულების და ფესტივალების ჩატარება.

#### **მუხლი 4. ცენტრის ფუნქციებია:**

4.1. უზრუნველყოს ქართული მუსიკალური, ქორეოგრაფიული და ზეპირსიტყვიერი ფოლკლორის ნიმუშების შეგროვება, შესწავლა და პოპულარიზაცია, ეროვნული ტრადიციების, წეს-ჩვეულებებისა და თამაშობების აღორძინება; გამოავლინოს ხალხური მთქმელები, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლები და კოლექტივები;

4.2. დაეხმაროს მოზარდ თაობასა და მუნიციპალიტეტის მოსახლეობას თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებასა და გამოყენებაში;

4.3. კულტურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის პოპულარიზაცია და გაშუქება; კულტურულ-გასართობი შემეცნებითი პროგრამების მომზადება და შოუბიზნესის განვითარებისთვის ხელშეწყობა;

4.4. კუთვნილი სამუხეუმო ექსპონატების ყოველმხრივი დაცვა და მათი აღრიცხვა და სისტემატიზაცია;

4.5. სამუხეუმო ექსპონატების პუბლიკაცია მათი პოპულარიზაციისა და დაინტერესებული მხარისთვის გაცნობის მიზნით და მუხეუმის ექსპოზიციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა კატეგორიის დამთვალიერებლისათვის;

4.6. ყველა ასაკის მკითხველის საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და ბიბლიოგრაფიული მომსახურება;

4.7. ორგანიზება გაუწიოს ქსელის ახალი ბეჭდური პროდუქციით, თანამედროვე საინფორმაციო და აუდიო-ვიზუალური ტექნიკით, ძველი და იშვიათი მასალებით, თანმიმდევრულ შევსება-დაკომპლექტებას;

4.8. ქართული ფოლკლორის განვითარებისთვის ხელის შეწყობა;

4.9. შექმნას საინფორმაციო ბანკი;

4.10. გაერთიანებას უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული.

## **მუხლი 5. ცენტრის სტრუქტურა**

5.4. ცენტრი შედგება შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისაგან:

- ა) კულტურის სახლები და კლუბები;
- ბ) მუზეუმი;
- გ) საბიბლიოთეკო ქსელი;
- დ) სახელოვნებო.

5.5. სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს და თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ცენტრის დირექტორი საკრებულოსთან შეთანხმებით.

## **მუხლი 6. ცენტრის დირექცია**

6.1 ცენტრი დაკომპლექტებულია შვიდი საშტატო ერთეულით: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ფინანსური მენეჯერი, კულტურის სახლების და კლუბების მენეჯერი, მუზეუმის მენეჯერი, საბიბლიოთეკო ქსელის მენეჯერი, სახელოვნებო დარგის მენეჯერი.

6.2 ცენტრის ადმინისტრაცია შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილისა და ფინანსური მენეჯერისგან.

6.3 დირექტორის მოადგილეს, ფინანსურ მენეჯერს და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ცენტრის დირექტორი.

## **მუხლი 7. ხელმძღვანელობა**

7.1. ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ირჩევს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულო.

7.2. ცენტრის ხელმძღვანელობა და სრული წარმომადგენლობა ენიჭება დირექტორს, რომელიც უძღვება ცენტრის საქმეებს.

7.3. დირექტორი:

- ა) წარმართავს ცენტრის საერთო საქმიანობას, ახდენს ადმინისტრაციისა და სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის კოორდინაციას;
- ბ) ზედამხედველობას ახორციელებს ცენტრის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე, პასუხისმგებელია ამ პროცესების ორგანიზაციაზე;

- გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით ამტკიცებს ცენტრის საშტატო განრიგს და ხელფასის ფონდს;
- დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით დებს გარიგებებს გაერთიანების სახელით;
- ე) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს, ამტკიცებს ცენტრის შინაგანაწესს, სამუშაო გეგმებს;
- ვ) კანონმდებლობის შესაბამისად განკარგავს ცენტრის ფინანსურ და მატერიალურ საშუალებებს;
- ზ) კანონის ფარგლებში დებს შრომით ხელშეკრულებებს და მუშაკთა მიმართ იყენებს წამახალისებელ და დისციპლინარულ ზომებს;
- თ) დამფუძნებელს წარუდგენს ანგარიშს საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ ყოველკვარტალურად;
- ი) ანგარიშვალდებულია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე;
- კ) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს ცენტრს ყველა ინსტანციაში;
- ლ) ახორციელებს ცენტრის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ, კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობას.

## **მუხლი 8. დაფინანსება**

8.1 ცენტრის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

- ა) ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი თანხები;
- ბ) გრანტები და შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავალი;
- გ) დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული მოგება.

8.2 ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი ფინანსური სახსრები გამოიყენება მხოლოდ ცენტრის წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად.

## **მუხლი 9. ცენტრის ქონება**

ცენტრს დროებით მფლობელობაში შეიძლება გადაეცეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობით მის ბალანსზე რიცხული ნებისმიერი უძრავი ქონება, უფლებამოსილების განხორციელების მიზნით.

## **მუხლი 10. ცენტრის საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება**

ცენტრი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება,

შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

### **მუხლი 11. სახელმწიფო კონტროლი**

11.1 ცენტრი ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერებას და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

11.2 ცენტრის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო, რომელსაც უფლება აქვს კონტროლის განსახორციელებლად მოითხოვოს საჭირო ინფორმაცია. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს ცენტრის კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება.

### **მუხლი 12. ცენტრის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **მუხლი 13. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია**

13.1. ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.2. ცენტრის უფლებამოსილება წყდება მისი ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან.

13.3. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება გადადის სახელმწიფო საკუთრებაში.

13.4. ინფორმაცია ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს.

### **მუხლი 14. გარდამავალი დებულებანი**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“ წარმოადგენს ხობის რაიონის კულტურის სახლისა და კლუბების, ხობის მხარეთმცოდნეობისა და ალიო მირცხულავას სახელობის მუზეუმისა და ხობის ცენტრალური ბიბლიოთეკის უფლებამონაცვლეს.

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ.ჭოხონელიძე/



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
აღგილობრივი თვითმმართველობის ორბანო  
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №51

ქ. ხობი

2007 წლის 31 ივლისი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ დირექტორის დანიშვნის შესახებ

„აღგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 თავის 35-ე მუხლისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ მე-5 მუხლის 5.1. პუნქტის შესაბამისად:

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ დირექტორად დაინიშნოს ზაზა შულაია.
2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ დირექტორს მიენიჭოს საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება.
3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის უზრუნველყოფა დაევალოს საზოგადოების დირექტორს.
4. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოხონელიძე/



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ადგილობრივი თვითმმართველობის ორბანო  
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №52

ქ. ხობი

2007 წლის 31 ივლისი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და „ადგილობრივი მნიშვნელობის საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების განსაზღვრის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 26 ივნისის №126 დადგენილების თანახმად:

1. დაფუძნდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი“.

2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ თანდართული წესდება.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის ვალდებულება დაეკისროს იურიდიული პირის დირექტორს.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოხონელიძე/



**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ხობის  
მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“  
წესდება**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

- 1.1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სრული სახელწოდებაა – ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი (შემდგომში – „ცენტრი“).
- 1.2 ცენტრი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „ზოგადი განათლების შესახებ“, „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონების, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ამ წესდების შესაბამისად.
- 1.3 ცენტრი თავის საქმიანობას ახორციელებს განუსაზღვრელი ვადით, მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე.
- 1.4 ცენტრს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში, ბეჭედი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.
- 1.5 ცენტრი უფლებებს იძენს მისი შესაბამის ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან.
- 1.6 ცენტრის იურიდიული მისამართია: ხობი სტალინის ქ. №12

**მუხლი 2. ცენტრის დაფუძნება.**

- 2.1 ცენტრის დამფუძნებელია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
- 2.2 ცენტრის წესდებას ამტკიცებს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 2.3 წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე – მამუკა ჭოხონელიძე.

**მუხლი 3. ცენტრის მიზნები**

- 3.1. მოსწავლეებს ხელი შეუწყოს შემოქმედებითი შესაძლებლობებისა და ინტერესების განვითარებაში, კულტურული მემკვიდრეობის გაცნობასა და შესწავლაში, მისცეს მათ დაწყებითი მუსიკალური განათლება;
- 3.2. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და პროფილური სპორტული საქმიანობის განხორციელება, ამ პროცესებში მომავალი თაობის ჩაბმა, მათი აღზრდა და დაოსტატება;
- 3.3. ჩამოაყალიბოს და განავითაროს ბავშვთა და მოზარდთა ინტერესები და მიდრეკილებები, ხელი შეუწყოს მათი პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას;

3.4. მოსწავლე-ახალგაზრდობაში კომპიუტერული ცოდნის განვითარება ახალი ტერმინოლოგიების საფუძველზე.

#### **მუხლი 4. ცენტრის ფუნქციები**

4.1 სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის წარმართვა 6-დან 18 წლამდე ასაკის მოსწავლეებთან.

4.2 სკოლასთან, სხვადასხვა სკოლისგარეშე დაწესებულებასთან, ოჯახთან და საზოგადოებასთან თანამშრომლობა.

4.3 მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში ხელშეწყობა.

4.4 მოსწავლეთა მრავალმხრივი ნიჭისა და მიდრეკილებების განვითარების ხელშეწყობა, მოზარდ თაობაში მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნებისადმი ინტერესის გაღრმავება.

4.5 ბავშვთა და მოზარდთა ინტერესებისა და მიდრეკილებების, მათი სულიერი და ინტელექტუალური შესაძლებლობების და ჰუმანური თვისებების ჩამოყალიბება.

4.6 სკოლების და სკოლისგარეშე დაწესებულებების წრეობრივი (მხატვრული შემოქმედების, ტურისტულ-მხარეთმცოდნეობის, სპორტული, ტექნიკური) მუშაობის ხელშეწყობა.

4.7 მოსწავლეებისთვის ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობის, ქართული და მსოფლიოს ხელოვნების ნიმუშების გაცნობა.

4.8 მოსწავლეებისთვის მუსიკალური ხელოვნების საფუძველების გაცნობა-სწავლება.

4.9 მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე ზრუნვა.

4.10 კონკურსების, ფესტივალებისა და სხვა ღონისძიებების საშუალებით გამოავლინოს და წარმოაჩინოს განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეები.

4.11 განსაკუთრებული სახელოვნებო ნიჭითა და უნარით დაჯილდოებულ ბავშვთა გამოვლენა და მათვის სპეციალური პროგრამებით განათლების მიღების უზრუნველყოფა.

4.12 ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში.

4.13 სპორტის სახეობების მიხედვით მუნიციპალიტეტში, ეროვნული ნაკრები გუნდების კანდიდატებისა და სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული ჭაბუკი სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება.

4.14 მოსწავლეების (სპორტსმენების) მომზადება ეროვნული ნაკრები გუნდების წევრობისა და წევრობის კანდიდატობისათვის.

4.15 მოსწავლე-ახალგაზრდობას შორის კომპიუტერული მუშაობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება

4.16 წრეობრივი მეცადინეობების ჩატარება ინფორმაციულ ტექნოლოგიებში და ახალგაზრდებისათვის ინფორმატიკის საფუძვლების სწავლება;

4.17 შესაბამისი პროფილის დაწესებულებებთან თანამშრომლობა.

4.18 საინფორმაციო ბანკის შექმნა.

4.19 ცენტრს უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული.

4.20 ცენტრი უფლებამოსილია შეიმუშაოს შინაგანაწესი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

## **მუხლი 5. ცენტრის სტრუქტურა**

5.1. ცენტრის ძირითადი სტრუქტურული ერთეულებია:

- ა) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი;
- ბ) კომპიუტერული სკოლა;
- გ) სასპორტო სკოლა;
- დ) სამუსიკო სკოლა.

5.2. სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს და თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ცენტრის დირექტორი საკრებულოსთან შეთანხმებით.

## **მუხლი 6. ცენტრის დირექცია**

6.1 ცენტრი დაკომპლექტებულია შვიდი საშტატო ერთეულით: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ფინანსური მენეჯერი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მენეჯერი, კომპიუტერული სკოლის მენეჯერი, სასპორტო სკოლის მენეჯერი, სამუსიკო სკოლის მენეჯერი.

6.2 ცენტრის ადმინისტრაცია შედგება დირექტორის, მოადგილისა და ფინანსური მენეჯერისგან.

6.3 დირექტორის მოადგილეს და ფინანსურ მენეჯერს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ცენტრის დირექტორი საკრებულოსთან შეთანხმებით.

## **მუხლი 7. ხელმძღვანელობა**

- 7.1 ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ირჩევს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულო.
- 7.2 ცენტრის ხელმძღვანელობა და სრული წარმომადგენლობა ენიჭება დირექტორს, რომელიც უძღვება გაერთიანების საქმეებს.
- 7.3 დირექტორი:
- ა) წარმართავს ცენტრის საერთო საქმიანობას, ახდენს ადმინისტრაციისა და სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის კოორდინაციას;
  - ბ) ზედამხედველობას ახორციელებს ცენტრის აღმზრდელობით და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე, პასუხისმგებელია ამ პროცესების ორგანიზაციაზე;
  - გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით ამტკიცებს ცენტრის საშტატო განრიგს და სახელფასო ფონდს;
  - დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით დებს გარიგებებს ცენტრის სახელით;
  - ე) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს, ამტკიცებს ცენტრის შინაგანაწესს, სამუშაო გეგმებს;
  - ზ) კანონმდებლობის შესაბამისად განკარგავს ცენტრის ფინანსურ და მატერიალურ საშუალებებს;
  - ხ) კანონის ფარგლებში დებს შრომით ხელშეკრულებებს და მუშაკთა მიმართ იყენებს წამახალისებელ და დისციპლინარულ ზომებს;
  - თ) დამფუძნებელს წარუდგენს ანგარიშს საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ ყოველკვარტალურად;
  - ი) ანგარიშგაღებულია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე;
  - კ) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს ცენტრს ყველა ინსტანციაში;
  - ლ) ახორციელებს ცენტრის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ, კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობას.

## **მუხლი 8. დაფინანსება**

- 8.1 ცენტრის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:
- ა) ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი თანხები;
  - ბ) გრანტები და შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავალი;
  - გ) დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული მოგება.
- 8.2 ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი ფინანსური სახსრები გამოიყენება მხოლოდ ცენტრის წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად.

## **მუხლი 9. ცენტრის ქონება**

ცენტრს დროებით მფლობელობაში შეიძლება გადაეცეს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს თანხმობით მის ბალანსზე რიცხული ნებისმიერი უძრავი ქონება, უფლებამოსილების განხორციელების მიზნით.

## **მუხლი 10. ცენტრის საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება**

ცენტრი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

## **მუხლი 11. სახელმწიფო კონტროლი**

11.1 ცენტრი ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერებას და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

11.2 ცენტრის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო, რომელსაც უფლება აქვს კონტროლის განსახორციელებლად მოითხოვოს საჭირო ინფორმაცია. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს ცენტრის კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება.

## **მუხლი 12. ცენტრის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **მუხლი 13. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია**

13.1 ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.2 ცენტრის უფლებამოსილება წყდება მისი ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან.

13.3 ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება გადადის სახელმწიფო საკუთრებაში.

13.4 ინფორმაცია ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს.

**მუხლი 14. გარდამავალი დებულებანი**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრი“ წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირების: სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ხობის სამუსიკო სკოლის და სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება ხობის №32 კომპლექსური სასპორტო სკოლის, ხობის რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და ხობის რაიონის ინფორმატიკის სასწავლო ცენტრის უფლებამონაცვლეს.

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოხონელიძე/



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
აღგილობრივი თვითმმართველობის ორბანო  
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №53

ქ. ხობი

2007 წლის 31 ივლისი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ დირექტორის დანიშვნის შესახებ

„აღგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 თავის 35-ე მუხლისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ მე-5 მუხლის 5.1. პუნქტის შესაბამისად:

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ დირექტორად დაინიშნოს ხათუნა ხორავა.
2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ დირექტორს მიენიჭოს საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება.
3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის უზრუნველყოფა დაევალოს საზოგადოების დირექტორს.
4. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოხონელიძე/



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
აღგილობრივი თვითმმართველობის ორბანო  
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №54

ქ. ხობი

2007 წლის 23 აგვისტო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ

„აღგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად:

1. დაფუძნდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“.
2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ თანდართული წესდება.
3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის ვალდებულება დაეკისროს იურიდიული პირის დირექტორს.
4. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოხონელიძე/



არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული  
პირის – „სობის მუნიციპალიტეტის  
საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“

წ ე ს დ ე ბ ა

სობი

2007 წელი

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ხობის  
მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“  
წესდება**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1.1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სრული სახელწოდებაა – ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი (შემდგომში – „ცენტრი“).

1.2 ცენტრი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონების, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ამ წესდების შესაბამისად.

1.3 ცენტრი თავის საქმიანობას ახორციელებს განუსაზღვრელი ვადით, მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე.

1.4 ცენტრის საქმიანობის კოორდინაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახური.

1.5 ცენტრს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში, ბეჭედი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

1.6 ცენტრი უფლებებს იძენს მისი შესაბამის ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან.

1.7 ცენტრის იურიდიული მისამართია: ხობი ჭყონდიდელის ქ. №2.

**მუხლი 2. ცენტრის დაფუძნება.**

2.1 ცენტრის დამფუძნებელია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

2.2 ცენტრის წესდებას ამტკიცებს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.3 ცენტრის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე – მამუკა ჭოხონელიძე.

**მუხლი 3. ცენტრის მიზნები**

თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში რესურსების მობილიზება, შესაბამისი ღონისძიებების (ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება,

ჯანმრთელობისათვის რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება) შემუშავება, განხორციელება და მოსახლეობის ინფორმირება.

#### **მუხლი 4. ცენტრის ფუნქციები**

4.1 ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა, ოჯახის რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და გადამდები და არაგადამდები დაავადებების გავრცელების თავიდან აცილება.

4.2 დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივ ჯანმრთელობის სფეროში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო პროგრამებისა და ღონისძიებების ადგილებზე ხელშეწყობა და მონიტორინგი;

4.3 არაგადამდები (ქრონიკული) დაავადებების და ჯანმრთელობის რისკების (დეტერმინანტების) კვლევის მონიტორინგი;

4.4 ლაბორატორიული საქმიანობის და ფუნქციონირების ხელშეწყობა, განსაკუთრებით საშიშ ინფექციებთან დაკავშირებული საქმიანობის და ლაბორატორიების ბიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობა და განხორციელება;

4.5 საგანმანათლებლო, საადმზრდელო და საგანმანათლებლო-საადმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა;

4.6 პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას;

4.7 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა;

4.8 მუნიციპალიტეტის აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის და და ამ კუთხით ჩატარებული სამუშაოების მონიტორინგი;

4.9 შესაბამისი პროფილის დაწესებულებებთან თანამშრომლობა;

4.10 საინფორმაციო ბანკის შექმნა;

4.11 საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საკითხების ირგვლივ სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანოებთან თანამშრომლობა;

4.12 ცენტრს უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული.

## **მუხლი 5. ცენტრის ადმინისტრაცია**

5.1 ცენტრის ადმინისტრაცია შედგება დირექტორისა და დირექტორის ორი მოადგილისგან პროგრამული მართვისა და ეპიდზედამხედველობის საკითხებში.

5.2 დირექტორის მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ცენტრის დირექტორი საკრებულოსთან შეთანხმებით.

## **მუხლი 6. ხელმძღვანელობა**

6.1 ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ირჩევს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საკრებულო.

6.2 ცენტრის ხელმძღვანელობა და სრული წარმომადგენლობა ენიჭება დირექტორს, რომელიც უძღვება გაერთიანების საქმეებს.

6.3 დირექტორი:

- ა) წარმართავს ცენტრის საერთო საქმიანობას და ახორციელებს ადმინისტრაციის საქმიანობის კოორდინაციას;
- ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით ამტკიცებს ცენტრის საშტატო განრიგს და სახელფასო ფონდს;
- გ) კანონმდებლობით დადგენილი წესით დებს გარიგებებს ცენტრის სახელით;
- დ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებს, ამტკიცებს ცენტრის შინაგანაწესს, სამუშაო გეგმებს;
- ე) კანონმდებლობის შესაბამისად განკარგავს ცენტრის ფინანსურ და მატერიალურ საშუალებებს;
- ვ) კანონის ფარგლებში დებს შრომით ხელშეკრულებებს და მუშაკთა მიმართ იყენებს წამახალისებელ და დისციპლინარულ ზომებს;
- ზ) დამფუძნებელს წარუდგენს ანგარიშს საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ ყოველკვარტალურად;
- თ) ანგარიშვალდებულია ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე;
- ი) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს ცენტრს ყველა ინსტანციაში;
- კ) ახორციელებს ცენტრის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ, კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობას.

## **მუხლი 7. დაფინანსება**

7.1 ცენტრის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

- ა) ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი თანხები;
- ბ) გრანტები და შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავალი;

გ) დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული მოგება.

7.2 ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი ფინანსური სახსრები გამოიყენება მხოლოდ ცენტრის წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად.

### **მუხლი 8. ცენტრის ქონება**

ცენტრს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას შეადგენს მასზე რიცხული ქონება გადაცემული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **მუხლი 9. ცენტრის საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება**

ცენტრი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

### **მუხლი 10. სახელმწიფო კონტროლი**

10.1 ცენტრი ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერებას და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

10.2 ცენტრის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო, რომელსაც უფლება აქვს მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო ინფორმაცია. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს ცენტრის კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილება.

### **მუხლი 11. ცენტრის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **მუხლი 12. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია**

12.1 ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.2 ცენტრის უფლებამოსილება წყდება მისი ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან.

12.3 ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება გადადის სახელმწიფო საკუთრებაში.

12.4 ინფორმაცია ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს.

**მუხლი 13. გარდამავალი დებულებანი**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ წარმოადგენს ხობის რაიონის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის უფლებამონაცვლეს.

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ .ჭოსონელიძე/



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
აღვილობრივი თვითმმართველობის ორბანო  
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №55

ქ. ხობი

2007 წლის 23 აგვისტო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორის დანიშვნის შესახებ

„აღვილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 თავის 35-ე მუხლისა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მე-6 მუხლის 6.1. პუნქტის შესაბამისად:

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორად დაინიშნოს შორენა საბახტარაშვილი.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორს მიენიჭოს საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის უზრუნველყოფა დაევალოს საზოგადოების დირექტორს.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

/მ. ჭოხონელიძე/



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**აღგილობრივი თვითმმართველობის ორბანო**  
**ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

---

ქ. ხობი

2007 წლის 23 აგვისტო

**განკარგულება №56**

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ შექმნისა და წესდების დამტკიცების შესახებ“ №49 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ

